

## მე-4 კლასი

## I. ენის სამყარო

1. როგორია შინაარსის მიხედვით წინადადება: „რა მშვენიერი დილა გათენდა!“  
ა. თხრობითი; ბ. კითხვითი; გ. ბრძანებითი; დ. ძახილის
2. რომელი ჯგუფის არსებითი სახელია „ოქრო“:  
ოქრო საქართველოში ოდითგანვე მოიპოვებოდა.  
ა. მოქმედების; ბ. საკუთარი; გ. კრებითი; დ. ნივთიერებათა
3. რომელი ბრუნვის ფორმაა „ირმის“:  
ა. მიცემითი; ბ. ნათესაობითი; გ. მოქმედებითი; დ. ვითარებითი
4. რომელია მართებული ფორმა:  
ა. ლარნახევარი; ბ. ლარ, ნახევარი; გ. ლარ ნახევარი; დ. ლარ-ნახევარი;

## II ლექსიკა

5. რომელია ანტონიმური (საპირისპირო მნიშვნელობის) წყვილი?  
ა. მისცა - მიახვედრა; ბ. მოახვედრა - ააცდინა; გ. მიახვედრა - მოახვედრა; დ. ააცდინა - მისცა
6. ჩამოთვლილი სიტყვებიდან იპოვეთ ისეთი, რომელიც კარგად განმარტავს სიტყვას „უგუნური“:  
ა. უგემური; ბ. უგერგილო; გ. უსინდისო; დ. უჭკუო

## III წაკითხულის გააზრება

წაკითხეთ სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკი „მეფე და მისი შვილი“, უპასუხეთ კითხვებს:

იყო ერთი სამართლიანი, მოწყალე და ძალიან მდიდარი მეფე. დაბერდა, მეფობა შვილს უბოძა და უთხრა:

- შვილო ჩემო! ჩემ მაგიერ შენ იმეფე, და სანამ მე ცოცხალი ვიქნები, ჩემს სალაროს ხელს ნუ მიჰყოფ და, რა მოვკვდე, ჩემი სულისათვის გლახაკს მიეცი!

შვილმა მოუსმინა და ისეთი სამართლიანობა და სიკეთე გამოიჩინა, მამის მეფობა ყველას დაავიწყდა. დღე ცხენზე არ ჯდებოდა, ღამით შეხტებოდა ხოლმე, მაგრამ ლამპარს წინ კი არ წაიმძღვარებდა ხოლმე, არამედ უკან მიიდევენებდა, ყველას უკვირდა მისი ეს ქცევა, მაგრამ ვერავინ აკადრა მოხსენება.

ერთ დღეს მამამ მისი შვილის მეფობის ამბავი იკითხა:

- ვითარ მეფობსო?

მათ ყველაფერი მოახსენეს: მეფობისა ქება, ღამე სიარული და ლამპრის უკან მიყოლა.

მამამ თავისთან მიიხმო შვილი და უთხრა:

- შვილო, შენი დიდი ქება მესმის, მაგრამ თუ ღამით სიარული გიყვარს, ლამპრის უკან მიდევენებას მისი წინ წამძღვარება არ გირჩევნიაო?!

შვილმა უპასუხა:

- დღემდე ვერ შემოგკადრე, მაგრამ მისთვის ვქმენი ეს საქმე, სალაროც თქვენსავ სიცოცხლეში წინ წაიმძღვარო და გლახაკს უბოძო, ისა სჯობს, თორემ მას უკან გაცემული უკან მიდევენებული ლამპარი იქნებაო.

ეამა მეფეს და ყოველივე გასცა. მადლობა გადაუხადა შვილს და თქვა:

- ყოველივე კეთილი სიცოცხლეში ქმნას, სჯობსო, და სიკეთის ქმნას დაემუროსო.

7. როგორ ახასიათებს ავტორი მეფეს?  
 ა. როგორც ძუნწსა და უსამართლოს; ბ. როგორც მკაცრსა და სასტიკს; გ. როგორც სამართლიანს, მაგრამ უმოწყალოს; დ. როგორც სამართლიანსა და გულმოწყალებს;
8. რა უანდერძა მეფემ შვილს?  
 ა. ჩემს სიცოცხლეში ქონებას (სიმდიდრეს) ხელი არ ახლო და რომ მოვკვდები, გაჭირვებულებს დაურიგო; ბ. არც ჩემს სიცოცხლეში და არც სიკვდილის შემდეგ ქონება არავის მისცო; გ. მთელი ქონება ჩემს სიცოცხლეში გაეციო; დ. მეფეს შვილისთვის არაფერი დაუტოვებია.
9. როგორ განაგებდა ქვეყანას მეფის შვილი?  
 ა. უსამართლობითა და სიძულვილით; ბ. სამართლიანობითა და სიკეთით; გ. სიმკაცრითა და სამართლიანობით; დ. სიმკაცრითა და სისასტიკით
10. რა უცნაური საქციელით გამოირჩეოდა მეფის შვილი?  
 ა. ღამე ცხენით სეირნობა უყვარდა; ბ. ღამით მეგობრებთან ერთად ნადირობდა; გ. ღამით ცხენზე შეჯდებოდა და ლამპარს, იმის ნაცვლად, რომ წინ გზა გაენათებინა, უკან ინათებდა; დ. ღამით ქუჩაში არავის უშვებდა.
11. იგავ-არაკში ვკითხულობთ: „ყველას უკვირდა მისი ეს ქცევა, მაგრამ ვერავინ აკადრა მოხსენება“. როგორ უნდა გავიგოთ - „ვერავინ აკადრა“?  
 ა. ვერავინ გაუგო; ბ. ვერავინ უთხრა; გ. ვერავინ აპატია; დ. ვერავინ გაუბედა
12. როგორ აუხსნა მეფეს შვილმა თავისი უცნაური საქციელი?  
 ა. ქონების შენს სიცოცხლეში გაცემა დიდი უაზრობააო; ბ. სჯობს, ქონება შენს სიცოცხლეში გასცე, თორემ სიკვდილის მერე გაცემული უკან მიდევნებულ ლამპარს ემსგავსებაო; გ. სჯობს, ქონება საერთოდ არ გასცეო; დ. სიკვდილის შემდეგ ქონების გაცემა ყველაზე გონივრულიაო.
13. რა რეაქცია ჰქონდა მეფეს, როცა შვილის რჩევა-დარიგებას მოუსმინა?  
 ა. გაბრაზდა და გააგდო; ბ. ეწყინა და დამწუხრდა; გ. ესიამოვნა, მაგრამ ანდერძი არ შეცვალა; დ. ესიამოვნა და გაითვალისწინა.
14. ტექსტში გამოყენებული რომელი ფრაზა გადმოგვცემს იგავ-არაკის მთავარ აზრს?  
 ა. „ისეთი სამართლიანობა და სიკეთე გამოიჩინა, მამის მეფობა ყველას დაავიწყდა“;  
 ბ. „სალარო თქვენსავ სიცოცხლეში წინ წაიმძღვარო და გლახაკს უბოძო, ისა სჯობს“;  
 გ. „ყოველი კეთილი სიცოცხლეში ქმნას, სჯობსო, და სიკეთის ქმნას დაეშუროსო“;  
 დ. „ლამპრის უკან მიდევნებას, წინ წაიმძღვარება არ გირჩევნიაო?“
15. ალეგორიის, როგორც მხატვრული საშუალების, რომელ ნიშანს ვხვდებით ტექსტში?  
 ა. ავტორი პერსონაჟებს თანაგრძნობით ხატავს; ბ. ავტორი გონიერებას ქადაგებს; გ. ავტორი არა პირდაპირ, არამედ გადატანით მიგვანიშნებს სათქმელზე; დ. ავტორი ერთმანეთს უპირისპირებს გონიერებასა და უგუნურებას.
16. რატომაა „მეფე და მისი შვილი“ იგავ-არაკი?  
 ა. იგი მცირე ზომის მოთხრობაა, რომელიც გარკვეულ სიბრძნეს ქადაგებს;  
 ბ. იგი ვრცელი მოთხრობაა, რომელშიც გადმოცემულია პერსონაჟების მოქმედება;  
 გ. მასში დაპირისპირებულია გონიერება და უგუნურება;  
 დ. იგი მოგვითხრობს, როგორ იქცევა ადამიანი, როცა ვერ იაზრებს თავის საქციელს.